შპს "ჯეოკვარცი" ს.კ 239406380	
2021 წლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობა	
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2021**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	131057
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	300691
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	18985
მარაგები	942854
მზა პროდუქცია	0
სხვა	942854
საინვესტიციო ქონება	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0
ბიოლოგიური აქტივები	0
თვითღირებულების მოდელით	0
გადაფასების მოდელით	0
გუდვილი	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0
ძირითადი საშუალებები	1020660
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	359000
სულ აქტივები	2773247
ვალდებულებები	
საიჯარო ვალდებულება	0
სავაჭრო ვალდებულებები	95352
ანარიცხები	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0
საგადასახადო ვალდებულებები	29518
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	820893
მიღებული გრანტები	0
სხვა ვალდებულებები	0
სულ ვალდებულებები	945763
საკუთარი კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვ	1103639
საემისიო შემოსავალი	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	723845
გადაფასების რეზერვი	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპი	1827484
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1827484
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2773247
სულ მოკლევადიანი აქტივები	431748
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	124870

შპს "ჯეოკვარცი" ს.კ 239406380	
2021 წლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	
საქმიანობის შედეგები	
საქმიანობის შედეგები	**31/12/2021**
ნეტო ამონაგები	3765888
საქონლის გაყიდვიდან	2877790
მომსახურების გაწევიდან	888098
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0
სხვა	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2094652
საწყისი მარაგები	0
მარაგების შესყიდვა	0
გადამუშავების დანახარჯები	0
საბოლოო მარაგები	0
საერთო მოგება	1671236
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-780572
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-166819
საპროცენტო შემოსავალი	0
საპროცენტო ხარჯი	0
იჯარის ხარჯი	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-947391
საოპერაციო მოგება	723845
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრებ	0
მიღებული დივიდენდები	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	723845
მოგების გადასახადის ხარჯი	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	723845
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასებ	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	723845
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:	
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	723845
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	0
მოგება / (ზარალი)	723845
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:	
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	723845
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	723845
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვ	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1103639
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1827484

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჯეო კვარცი" ს.კ 239406380 დაარსდა 24/11/2008 წელს, მისამართზე საჩხერე, სოფ ჩიხა.

შპს "ჯეო კვარცი" დამფუძვნებლები 01/01/2021წ - 30/09/2021წ პერიოდში იყვნენ რეზიდენტი ფიზიკური პირები:

1. მიხეილ სირაძე, პ.ნ: 38001027887- 34%
2. თეიმურაზ ჭიხორია, პ.ნ: 62007005142- 33%
3. ანდრო ფარქოსაძე, პ.ნ 38001008734- 33%

30/09/02021 წლიდან ანგარიშგების შპს "ჯეო კვარცი"-ს შექმინის დღემდე დამფუძვნებელი და დირექტორია მიხეილ სირაძე.

შპს „ჯეოკვარცის" საქმიანობის სფეროა კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის მოპოვება-გადამუშავება და გადაზიდვის მომსახურება სახმელეთო სატრანსპორტო საშუალეებით.

კომპანიამ 2021 წლის 01 ოქტომბერს შეიძინს შპს „სთარ ბილდინგი" ს.კ 427740288, რომელიც დაკავებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობით.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2021 წელს შეადგენდა 33 თანამშრომელს.

2. შედგენის საფუძველი და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

წარმოდეგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სტანდარტით, რომლებიც მოქმედია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით). საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. არასაოპერაციო ხარჯებში.

პროდუქციის წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული **მიწა და შენობები** ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით, რაც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 20 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, (სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიები), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია, ამორტიზაცია ერიცხება წრფივად, გამოყენების ვადის პროპორციულად.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად რომ, ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, მაგალითად ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა, შეესაბამება კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობილ შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდლეებს გამოკლებული საპროცენტო დანახაარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს მუდმივ პროპორციას, საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ და ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, მაგალითად ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა, შეესაბამება კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობილ შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდლეებს გამოკლებული საპროცენტო დანახაარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ . საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს მუდმივ პროპორციას, საანგარიშგებო

პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ და ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;

- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და
- ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული

ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისიი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ძირითადი საშუალებები მოიცავს: მანქანადანადგარებს და აღჭურვილობას, ოფისის აღჭურვილობას, ავეჯსა და დანადგარებს, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობას, სატრანსპორტო საშუალებებს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ყველა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. კომპანიის მენეჯმენტს არ შეუქმნია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ანარიცხი, რადგან ისტორიულად არ დამდგარა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შედეგი ან მოვენა, რომელიც ეჭვს გამოიწვევდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებით.

საქონელი და მარაგები მოიცავს წარმოებისთვის საჭირო ნედლეულს, სამშენებლო მასალებს რომელთა გახარჯვას მოხდა ან/და განკუთვნილია გახარჯვისთვის.

კაპიტალი და რეზერვები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 9000 ლარს, 2020 წლის 31 დეკემბრისვის შეადგენდა 108200 ლარს, რომელიც მხოლოდ შპს ჯეოკვარცის კაპიტალს წარმოადგენს. 2021 წლის 31 დეკემბრის 1103639 ლარს, რაც სრულად ფულადი სახით იყო შევსებული.

2021 წელს დივიდენდი არ გადახდილა.

სესხები

საბანკო სესხები აღებულია ქართუ ბანკიდან, გრძელვადიანი პირობით და უზრუნველყოფილია დამფუძვნებელთა პირადი ქონებით და საწარმოს ბალანსზე არსებული 4 ერთეული მძიმე ტექნიკით.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ღირებულებას, სატრანსპორტო ხარჯს, პირდაპირ დარიცხულ ხელფასებს, ბიუჯეტში გადახდილ ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელს.

დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები მოიცავს საწვავის ხარჯებს,სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს, რეკლამის ხარჯებს და სხვადაკავშირებულ ხარჯებს.

ადმინისტრაციული ხარჯები: თანამშრომელთა ანაზღაურებას, გადასახადებს, საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება, რემონტი, ცვეთა და ამორტიზაცია, ბანკის მომსახურება.

ფინანსური ხარჯები მოიცავს: საპროცენტო ხარჯები საბანკო სესხებზე, საპროცენტო ხარჯები დაკავშირებული მხარეების სესხებზე, ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, ფულზე და მოთხოვნებზე ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე

საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2022 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა შვილობილ კომპაიაში კაპიტალის ზრდა და 2022 წლის ოქტომბრის თვიდან ვპროგნოზირებთ შვილობილ კომპანიაშ მნიშვნელობან შემოსავლების მატაბას და შეტანილი კაპიტალის ამოღებას.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები.

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითერბასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა. ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე სიტუაციას.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების ორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ: ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

მენეჯმენტმა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ საერთო მოგების მარჟა გააგრძელებს ზრასა და მიაღწევს განსაზღვრულ მნიშვნელობას. ეს ვარაუდი ეფუძნება კომპანიის ძლიერ საბაზრო პოზიციას.

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები: საჭაჭრო და სხვა მოთხოვნები; ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფინანსური ვალდებულებები: ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული:სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ფინანსური რისკის მართვა

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, გამოვლინდება საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი მერყეობა. კომპანიის სავაჭრო ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი უმნიშნელოა რადგან საბანკო სესხები განთავსებულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო უცხოელ პარტნიორებთან სავაჭრო ურთიერთობები ატარებენ მოკლევადიან ხასიათს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი გამოწვეულია სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

ანგარიშის წარდგენის თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშული ბანკი წარმოადგენს კარგი რეპუტაციის მქონე ბანკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები, კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება. კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

გაუთვალისწინებელი გარემოებები

ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებეს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. 2021 წლის როგორც საქართველოს ისე გლობალური ბაზრისთვის მთავარი გამოწვევა იყო კოვიდპანდემისს პრობლემები და გამოწვევები, რამაც მნიშვნელობანი შეფერხება გამოიწვია მთელი რიგი ბიზნესებისთვის, თუმცა შპს „ჯეო კვარცისთვის" პანდემისს პირობებში არ შექმნილა არსებითი რისკი საქმიანობის შეჩერებისა, რადგან სამშენებლო ბიზნესმა გაუძლო გამოწვევას და მთავრობის დახმარებითა და წახალისებით შეზღუდვების პირობებშიც თითქმის უცვლელი შემოსავლიანობით შეძლო ფუნქციონირება. საწარმოზე პირდაპირი გავლენა არ მოუხედნია აგრეთვე რუსეთ-უკრაინის ომს. თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებობს ამ გაურკვევლობაში ჩართული რიგი ვარაუდები, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სრულად სანდო შეფასება, თუ კომპანიის რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე შეიძლება იქონიოს სამომავლოდ ახალმა ფაქტორებმა გავლენა. მენეჯმენტს

სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვალებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანობსა და იურისდიქციებში. ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლბის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული.

გარემოს დაცვა

საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის არსებით მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია შეუსრულებელი არსებითი მიმდინარე გარემოს დაცვითი ვალდებულებები, თუმცა რადგან კომპანიის საქმიანობა მოიცავს ქვიშის ღია კარიერების დამუშავებას, არსებოს გარკვეული პრობლემები კარიერის დამუშავების პროცესში მოპოვების საფეხურებად დამუშავებასთან დაკავშრებით.

სასამართლო დავები

31/12/2021 წლისთვის შპს "ჯეო კვარცს" აქვს კერძო სასამართლო დავა შპს „კვარცი საქართველოს" წინააღმდეგ რომლის გამოც დაყადაღებულია სასარგებლო წაღისეულის მოპოვების ლიცენზიები და მიწის ნაკვეთები თბილისში ბელიაშვილის ქუჩაზე და საჩხერეში ფეიქართა ქუჩაზე. მენეჯმენტის საიმედო შეფასებით შპს "ჯეო კვარცს" ფინანსური ხარჯის გაწევა არ დასჭირდება, რადგან დავაში მონაწილეობს სავსებით სანდო არგუმენტებით და დავა საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ჩვენი ფირმის სასარგებლოდ. ანგარიშგების ჩაბარების მომენტისთვის დასრულებულია ქუთაისის სააპელაციო სასამათლოს დავა, რომლის მიხედვითაც შპს „ჯეოკვარცი" გამართლებულია სრულად და ფინანსური ვალდებულებები ამ მხრივ არ ერიცხება. თუმცა დავა დიდი ალბათობით გაგრძელდება უზენაეს სასამართლოში მოსარჩელე მხარის ინივციატივით. ეს ფაქტი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არაა.

შპს "ჯეო კვარცი"-ს დირექტორი: ---------- **მიხეილ სირაძე**